

გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 20/06/2017

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0617/19-2

2017 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, N139 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №2 დანართში მოცემული მონაცემი.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ხასაშვილი

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და
ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

N	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
139	AL-NUSRAH FRONT FOR THE PEOPLE OF THE LEVANT	<p>ა) the Victory Front; Jabhat al-Nusra; Jabhet al-Nusra; Al-Nusra Front; Al-Nusra Front</p> <p>ბ) Jabhat Fath al Sham; Jabhat Fath al-Sham; Jabhat Fatah al-Sham; Jabhat Fateh Al-Sham; Fatah al-Sham Front; Fateh al-Sham Front</p> <p>გ) Conquest of the Levant Front</p> <p>დ) The Front for the Liberation of al Sham</p> <p>ე) Front for the Conquest of Syria/the Levant</p> <p>ვ) Front for the Liberation of the Levant</p> <p>ზ) Front for the Conquest of Syria</p> <p>თ) Ansar al-Mujahideen Network-ერთეულის დასახელება</p> <p>ი) Levantine Mujahideen on the Battlefields of Jihad - ერთეულის დასახელება</p>	<p>ა) სირიის არაბთა რესპუბლიკა</p> <p>ბ) ერაყი (მხარდაჭერა)</p>	<p>14.05.14 (ცვლილება 07.06.17)</p>	<p>ასოცირებულია ალ-ქაიდასთან (Al-Qaida) (იურიდიულ პირთა სიაში 38), Syrian and foreign Al-Qaida in Iraq-სთან და Asbat al-Ansar-ს მებრძოლებთან (იურიდიულ პირთა სიაში 44-ე), სხვა უცხოელ აგენტებთან ერთად, სირიის არაბთა რესპუბლიკაში ადგილობრივ ელემენტებს უერთდებიან, ტერორისტული და პარტიზანული ოპერაციების განხორციელების მიზნით.</p> <p>ადრე დაკავშირებული იყო Islamic State in Iraq and the Levant (ISIL) (იურიდიულ პირთა სიაში 83-ე) და მის ლიდერთან იბრაჰიმ ავვად იბრაჰიმ ალი ალ-ბადრი ალ-სამარრაი (Ibrahim Awwad Ibrahim Ali al-Badri al-Samarrai), (სიაში 284-ე), თუმცა 2013 წელს გამოეყო მათ. 2016 წლის ივლისში აბუ მუჰამედ ალ ჯავლანმა (Abu Mohammed Al-Jawlani) (სიაში 306-ე) Al-Nusra Front for the People of the Levant-ის ლიდერმა, გამოაცხადა, რომ ჯგუფმა შეიცვალა სახელი და გახდა Jabhat Fath al-Sham და აღარ მიიღებდა სხვა გარე ორგანიზაციას. განცხადებისა და ცდების მიუხედავად გამოყოფილიყო Al-Nusra Front for the People of the Levant-ს, ჯგუფი რჩება ალ-ქაიდასთან და აგრძელებს ტერორისტული ოპერაციების განხორციელებას ახალი სახელით.</p> <p>2013 წლის 30 მაისიდან 2014 წლის 13 მაისამდე რეგისტრირებული იყო როგორც ალ-ქაიდა ერაყში (Al-Qaida In Iraq - №83 სიაში).</p>

დანართი №2

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
393	<p>1. ფარედ (FARED)</p> <p>2. საალ (SAAL)</p> <p>დაბადების თარიღი: 18.02.1989</p> <p>დაბადების ადგილი: ბონი, გერმანია (Bonn, Germany)</p> <p>ეროვნება/მოქალაქეობა: ა) გერმანელი ბ) ალჟირელი</p>	<p>ა) აბუ ლუქმან ალ ალმანი (Abu Luqmaan Al Almani)</p> <p>ბ) აბუ ლუნგმან (Abu Lugmaan)</p>	<p>პირადი ნომერი: გერმანული პირადობა - 5802098444, გაცემულია ბონში, გერმანიაში 2010 წლის 15 აპრილს, ვადა გაუვიდა 2016 წლის 14 აპრილს.</p>		16.06.17	<p>გერმანელი უცხოელ ტერორისტთა მებრძოლი Islamic State in Iraq and the Levant-ისათვის (იურიდიულ პირთა სიაში 83-ე)</p> <p>ფიზიკური აღწერილობა: ყავისფერი თვალები, შავი თმა, სიმაღლე 178სმ, წონა 80 კგ. დაჭერის შესახებ ევროპული ბრძანება გაცემულია გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გამომძიებელი მოსამართლის მიერ 2014 წლის 13 აგვისტოს.</p>